საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/36 **19/12/2023**

რეცენზია სასწავლო პროგრამაზე „ანემიის მართვა ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს“

მოცემული რეცენზია ეხება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის #3, ჰემატოლოგიის დეპარტამენტის და საქართველოს თერაპევტთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროგრამას „ანემიის მართვა ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს“.

მთელ მსოფლიოში, ქრონიკული დაავადებით გამოწვეული ანემია მე-2 ყველაზე გავრცელებული ანემიაა, რკინადეფიციტური ანემიის შემდეგ. ქრონიკული დაავადების დროს განვითარებული ანემია არის მულტიფაქტორული. მისი არსებობის დროს, ინიშნება განსხვავებული მკურნალობა და სწორედ, აღნიშნული სინდრომის დიაგნოსტირებაში დაშვებული შეცდომები, ხშირად, არაეფექტური მართვის მიზეზი ხდება.

სასწავლო კურსი განკუთვნილია თერაპიული პროფილის სპეციალისტებისათვის. მისი მიზანია გაზარდოს მსმენელის ცოდნა და გააუმჯობესოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა მან შესძლოს „ანთების ანემიის“ სწორად და დროულად დიაგნოსტირება, ძირითადი დიაგნოსტიკური და რისკის ფაქტორების გათვალისწინება, სინდრომის მაიდენტიფიცირებელი ლაბორატორიული კვლევების სწორად გამოყენება/ ინტერპრეტაცია და ასევე, განსხვავებული მკურნალობის ალგორითმის გამოყენება, პაციენტისთვის ინდივიდუალური მიდგომით, ეფექტური მკურნალობის დანიშვნა. აღნიშნული საკითხების სწავლება, წარმოდგენილი სასწავლო კურსის აქტუალობას განაპირობებს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, რეკომენდაციას ვუწევთ სასწავლო პროგრამის „ანემიის მართვა ზოგიერთი ქრონიკული დაავადების დროს“ აკრედიტაციას დადგენილი წესის მიხედვით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.12.19 10:29:56